საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2019 წლის 11 მარტი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №79/18

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 12 მარტის №-- საჩივრის საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 08 ივნისის №79/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 11 მარტის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2015 წლიდან იხილება მისი საქმე -- საქალაქო სასამართლოში, ხოლო ამჟამად საქართველოს უზენაეს სასამართლოში (№ბს -- - -- (კ-17)). საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის -- -- 2017 წლის 01 დეკემბრის განჩინებით, დასაშვებობის შესამოწმებლად -- -- საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული.

-- -- საჩივარში უთითებს საქართველოს -- საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილზე და აღნიშნავს, რომ დასაშვებობის შემოწმების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 03 თვეს, რა ვადაც გავიდა 2018 წლის 01 მარტს, მოსამართლეს კი არანაირი რეაგირება არ მოუხდენია და მისთვის არაფერი უცნობებია.

საჩივრის ავტორი ითხოვს დაინტერესებას იმ ფაქტით, რომ მოსამართლემ დაარღვია 03 თვიანი

ვადა.

2. მოსამართლის მოსაზრება საჩივართან დაკავშირებით:

მოსამართლე -- -- 2018 წლის 19 აპრილს წარმოადგინა მოსაზრებები -- -- საჩივართან დაკავშირებით.

მოსამართლე -- -- აღნიშნავს, რომ 2017 წლის 01 დეკემბრის განჩინებით, -- -- საკასაციო საჩივარი დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული, ხოლო 2018 წლის 22 თებერვლის განჩინებით, კანონით დადგენილ 03 თვიან ვადაში, სასამართლომ შეამოწმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლების არსებობა და მიიჩნია დაუშვებლად. 2018 წლის 22 თებერვლის დასაბუთებული განჩინება, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მხარეებს გაეგზავნათ 2018 წლის 26 მარტს, კანონით დადგენილ ვადაში.

3. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2015 წლის 07 დეკემბერს, -- -- სარჩელით მიმართა მიმართა -- საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა უძრავი ქონების შესახებ 1998 წლის 05 მაისის პრივატიზების ხელშეკრულების ბათილად ცნობა, რაც მისი თქმით ნოტარიუსმა შეადგინა კანონდარღვევით.

-- საქალაქო სასმართლოს -- საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 20 იანვრის განჩინებით, -- -- უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.

-- საქალაქო სასმართლოს -- საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 20 იანვრის განჩინება გასაჩივრებულ იქნა მოსარჩელე -- -- მიერ.

-- სააპელაციო სასამართლოს -- საქმეთა პალატის 2016 წლის 31 მარტის განჩინებით, გაუქმდა -- საქალაქო სასამართლოს -- საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 20 იანვრის განჩინება და საქმე წარმოებაში მიღების ეტაპიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

-- საქალაქო სასამართლოს -- საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 08 ნოემბრის გადაწყვეტილებით, -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა. -- -- მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

-- სააპელაციო სასამართლოს -- საქმეთა პალატის 2017 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით, საქმეზე №3ბ/-- -16, მოსამართლე -- -- არ დააკმაყოფილა -- -- სააპელაციო საჩივარი -- საქალაქო სასამართლოს -- საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 08 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმების და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე.

2017 წლის 16 ნოემბერს, -- -- საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს -- საქმეთა პალატის 2017 წლის 01 დეკემბრის განჩინებით, დასაშვებობის შესამოწმებლად -- -- საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს -- საქმეთა პალატის 2018 წლის 22 თებერვლის განჩინებით, -- -- საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და უცვლელად დარჩა -- სააპელაციო სასამართლოს -- საქმეთა პალატის 2017 წლის 18 ოქტომბრის განჩინება.

2018 წლის 22 თებერვლის განჩინება მხარეებს (მათ შორის -- --) გაეგზავნათ 2018 წლის 26 მარტს.

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, კერძოდ, უნდა შეფასდეს შეიცავს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს განსახილველ საქმეზე საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული საკითხები.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ:

ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას;

ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია;

გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება;

დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის

შედეგზე;

ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3[1] ნაწილის თანახმად, ამ მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე დასაშვებობის შემოწმების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, -- საქმეზე საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადაა 6 თვე.

მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი უთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3[1] ნაწილით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობაზე, კერძოდ, დასაშვებობის შემოწმების 03 თვიანი ვადის დარღვევაზე.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ 2017 წლის 01 დეკემბრის განჩინებით დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში მიღებული -- -- საკასაციო საჩივარი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს -- საქმეთა პალატის მოსამართლეთა შემადგენლობამ -- -- თავმჯდომარეობით, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა 2018 წლის 22 თებერვალს. განჩინება მხარეებს გაეგზავნათ, დასაბუთებული განჩინების მომზადებისა და გაგზავნის კანონით დადგენილი ვადაში - 2018 წლის 26 მარტს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7, 235-ე და 257-ე მუხლების შესაბამისად.

ამდენად, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების დეტალური ანალიზის შედეგად ცალსახად არ დადასტურდა საჩივარში მითითებული ფაქტი, მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2019 წლის 11 მარტის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (კენჭისყრაში მონაწილე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 11 წევრთაგან 11 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტითა და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №79/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი